DOI:10.52340/PUTK.2233-3541.2026.28.08

ბათუმის სააქციო საზოგადოება „შელენგოვსკი და კ“. სოციალურ-ეკონომიკური და ინდუსტრიული ტრანსფორმაციის ისტორია საარქივო დოკუმენტების მიხედვით (1912-1922 წწ.)

ISSUES OF SOCIAL-ECONOMIC AND INDUSTRIAL TRANSFORMATION OF THE BATUMI JOINT-STOCK COMPANY "SHELENGOVSKY AND CO." ACCORDING TO ARCHIVAL DOCUMENTS (1912–1922)

NINO GOGITIDZE
Senior Specialist of Service of Foreign, Public and Media Relations, Publication and Use of Documents of Archives Administration of Ajara; Batumi, Georgia
n.gogitidze@archives-ajara.gov.ge
+995 579 252065;

MZIA SURMANIDZE
Senior Specialist of Service of Foreign, Public and Media Relations, Publication and Use of Documents of Archives Administration of Ajara; Batumi, Georgia
m.surmanidze@archives-ajara.gov.ge
+995 555 587788;

Abstract. Based on the historical materials preserved in the Archives Administration of Adjara (Fund I-21), this paper explores the operational history of the Batumi Joint-Stock Company "Shelengovsky & Co." (later renamed "Plastina") between 1912 and 1922. The study analyzes the enterprise's transformation matrix from a partnership into a joint-stock company, alongside the managerial and raw material crises (specifically the shortage of black iron) encountered during its initial operational years. Furthermore, it examines the company's extensive financial and economic networks with regional and international entities—including the Nobel Brothers' Society, the State Bank, and the municipal governments of Tiflis and Batumi—as well as its internal organizational structure. Drawing upon archival evidence, the paper investigates the social profile of the enterprise, the demographic and ethnic composition of its workforce, and the socio-political impacts of the 1917 revolutionary period on corporate life. Special emphasis is placed on the post-Sovietization phase (1922), which brought about the total nationalization of private capital and the conversion of the facility into the "First Soviet Factory". The research demonstrates that this specific archival fund serves as a crucial

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

micro-historical source for understanding the industrial, social, and economic evolution of early 20th-century Batumi.

Keywords: *Industrial History of Batumi, Joint-Stock Company "Shelengovsky & Co.", "Plastina" Factory, Nationalization, Audit Commission, Archives Administration of Adjara.*

ნინო გოგიტიძე
აჭარის საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციის და გამოყენების სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ბათუმი, საქართველო
n.gogitidze@archives-ajara.gov.ge
+995 579 252065;

მზია სურმანიძე
აჭარის საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციის და გამოყენების სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ბათუმი, საქართველო
m.surmanidze@archives-ajara.gov.ge
+995 555 587788;

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატიაში აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცული მასალების (ფონდი ი-21) საფუძველზე შესწავლილია ბათუმის სააქციო საზოგადოება „შელენგოვსკი და კ“-ს (შემდგომში „პლასტინა“) საქმიანობის ისტორია 1912–1922 წლებში. ნაშრომში გაანალიზებულია საწარმოს ტრანსფორმაციის ციკლი ამხანაგობიდან სააქციო კომპანიამდე, პირველი საოპერაციო წლების მენეჯერული და ნედლეულის კრიზისები (შავი რკინის დეფიციტი), მისი ფართო ფინანსურ-ეკონომიკური კავშირები რეგიონულ თუ საერთაშორისო სუბიექტებთან (მათ შორის, ძმები ნობელების საზოგადოებასთან, სახელმწიფო ბანკთან, თბილისისა და ბათუმის თვითმმართველობებთან) და შიდაორგანიზაციული სტრუქტურა. საარქივო მასალებზე დაყრდნობით, გამოკვლეულია საწარმოს სოციალური პროფილი, დასაქმებულთა დემოგრაფიული და ეროვნული შემადგენლობა, ასევე 1917 წლის რევოლუციური პერიოდის გავლენა შიდა კორპორაციულ ცხოვრებაზე. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს გასაბჭოების შემ-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

დგომ ეტაპს (1922 წ.), როდესაც მოხდა საწარმოს ნაციონალიზაცია და მისი გარდაქმნა „პირველ საბჭოთა ქარხნად“. კვლევა აჩვენებს, რომ აღნიშნული საარქივო ფონდი უმნიშვნელოვანესი მიკრო-ისტორიული წყაროა მე-20 საუკუნის დასაწყისის ბათუმის ინდუსტრიული და სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის შესასწავლად.

საკვანძო სიტყვები: *ბათუმის ინდუსტრიული ისტორია, სააქციო საზოგადოება „შელენგოვსკი და კ“, ქარხანა „პლასტინა“, ნაციონალიზაცია, სარევიზიო კომისია, აჭარის საარქივო სამმართველო.*

შესავალი

მე-20 საუკუნის დასაწყისის ბათუმი წარმოადგენდა კავკასიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინდუსტრიულ, სავაჭრო და საპორტო ცენტრს, სადაც თავს იყრიდა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური კაპიტალი. როგორც მკვლევარი ა. ბარათაშვილი აღნიშნავს, ამ პერიოდში ბათუმის პორტი და მისი მიმდებარე ინდუსტრიული ზონა იქცა მსხვილი კაპიტალისტური გაერთიანებების ძირითად საყრდენ პლატფორმად, რამაც ბიძგი მისცა რეგიონში მძიმე და მსუბუქი მრეწველობის განვითარებას [ბარათაშვილი, 2012: 45]. ამ ეპოქის ეკონომიკური დინამიკის, საწარმოო მართვის სპეციფიკისა და სოციალური სტრუქტურის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველწყაროებს.

წინამდებარე სტატიის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ბათუმის სააქციო საზოგადოება „შელენგოვსკი და კ“ (მოგვიანებით „პლასტინა“), რომელიც 1912–1922 წლებში რეგიონის ერთ-ერთი თვალსაჩინო ინდუსტრიული ერთეული იყო. ნაშრომის მიზანია, საარქივო დოკუმენტების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, აჩვენოს საწარმოს განვითარების ციკლი: ამხანაგობიდან სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა, საოპერაციო კრიზისები, შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა და, საბოლოოდ, საბჭოთა ოკუპაციის შემდგომი ნაციონალიზაციის პროცესი.

მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდსაცავში დაცულ მასალებს (ფონდი ი-21, სულ 23 საქმეთა ერთეული). ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია შემდეგი სამეცნიერო მეთოდები:

- ისტორიული მეთოდი: საშუალებას გვაძლევს ქრონოლოგიურ ჭრილში (1912–1922 წწ.) თვალი მივადევნოთ საწარმოს ევოლუციას, მისი სახელწოდებების ცვლილებასა და სამართლებრივი სტატუსის ტრანსფორმაციას კაპიტალისტური მოდელიდან საბჭოთა გეგმიურ სისტემამდე.

- წყაროთმცოდნეობითი და დოკუმენტური ანალიზი: კვლევის ძირითად ბაზისს წარმოადგენს პირველადი დოკუმენტები — წლიური ბალანსები, მოგება-ზა-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

რალის ანგარიშები, სარევიზიო კომისიის ოქმები, ნოტარიულად დამოწმებული აქტები და სახელფასო უწყისები.

- სტატისტიკურ-ეკონომიკური ანალიზი: გამოყენებულია საწარმოს ფინანსური მაჩვენებლების, ნედლეულის დეფიციტით გამოწვეული გადახარჯვებისა და კრედიტორ-დებიტორთა (სულ 39 კრედიტორი და მრავალრიცხოვანი დებიტორი) სტრუქტურის შესასწავლად.

- პროსოპოგრაფიული (ბიოგრაფიული) მიდგომა: სახელფასო უწყისებისა და მუშახელის სიების ანალიზით (13 თანამშრომლიდან 1917 წელს — 59 მუშამდე საბჭოთა პერიოდში) შესწავლილია დასაქმებულთა სოციალური და ეროვნული შემადგენლობა, მათი საცხოვრებელი არეალი (მაგ. ყარსის, ტურგენევის, კომაროვისა და სკობელევის ქუჩები) და მატერიალური მდგომარეობა.

შედეგები. სააქციო საზოგადოება „შელენგოვსკი და კ“-ს საარქივო ფონდის კომპლექსურმა კვლევამ აჩვენა, რომ საწარმომ დაარსებისთანავე (1912 წ.) წარმატებით გადალახა მენეჯერული და ნედლეულის მწვავე კრიზისი საოპერაციო მოდელის მოდერნიზაციისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვით. დოკუმენტების ანალიზით გამოვლინდა, რომ კომპანიას ჰქონდა ფართო ეკონომიკური და საკრედიტო ქსელი, რომელიც აკავშირებდა მას როგორც საერთაშორისო გიგანტებთან, ისე თბილისისა და ბათუმის მსხვილ მუნიციპალურ სტრუქტურებთან. საწარმოს შიდაორგანიზაციული მასალები ადასტურებს მკაცრი ფინანსური და სარევიზიო კონტროლის არსებობას, რასაც თან ახლდა თანამშრომელთა სოციალური მხარდაჭერის ადრეული მექანიზმები. პროსოპოგრაფიულმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა დასაქმებულთა სტრუქტურის ევოლუციის თვალყურის დევნება, სადაც მკაფიოდ აისახა მუშახელის რაოდენობის ზრდა და ქართველი პერსონალის აქტიური ჩართულობა. საბოლოოდ, ნაშრომმა თვალსაჩინოდ აჩვენა, თუ როგორ გამოიწვია 1922 წლის საბჭოთა ოკუპაციამ კერძო კაპიტალის სრული ლიკვიდაცია და მძლავრი კორპორაციული ერთეულის იძულებითი ნაციონალიზაცია.

მსჯელობა

აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცული მასალები ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს მე-20 საუკუნის დასაწყისის ბათუმის ინდუსტრიული, სოციალური და ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფონდი ი-21, რომელიც მოიცავს ბათუმის სააქციო საზოგადოება „შელენგოვსკი და კ“-ს (შემდგომში „პლასტინა“) საარქივო დოკუმენტაციას 1912-1922 წლების პერიოდში. წარმოდგენილი სტატია საარქივო საქმეებზე დაყრდნობით, აანალიზებს საზოგადოების განვითარების გზას — დაარსებიდან და ეკონომიკური კრიზისებიდან მის საბჭოთა ნაციონალიზაციამდე.

პირველი ნაბიჯები და საწარმოო კრიზისი. ამხანაგობიდან სააქციო საზოგადოებად გადაკეთებისა და ახალი ქარხნის მშენებლობის პროცესი კომპანიისათვის იოლი არ ყოფილა. პირველი საოპერაციო წლის შედეგები აქციონერთათვის,

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

რომელთაც სოლიდური ინვესტიცია ჰქონდათ ჩადებული, იმედგაცრუების მომტანი აღმოჩნდა. საქმისწარმოების მასალებიდან ირკვევა, რომ დივიდენდების სიმცირე ორმა ძირითადმა ფაქტორმა განაპირობა: ერთის მხრივ — ობიექტურმა და გარდაუვალმა მიზეზებმა, ხოლო მეორეს მხრივ — შემთხვევითმა გარემოებებმა. სიტუაციას ართულებდა მმართველობის არაკომპეტენტურობაც, რასაც თან დაერთო შავი რკინის მწვავე დეფიციტი ბაზარზე.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში შავი ზღვის რეგიონში ნედლეულის მიწოდების ჯაჭვების რღვევა ხშირად აიძულებდა ადგილობრივ მრეწველებს, ალტერნატიული, ნაკლებად რენტაბელური ბაზრები მოეძიებინათ [ხალვაში, 2008:112]. წარმოების უწყვეტობის შესანარჩუნებლად „შელენგოვსკი და კ“-ს ხელმძღვანელობაც აიძულა ეყიდა ძვირადღირებული ციმბირული ნედლეული, რაც ფინანსურ გადახარჯვად დაუჯდათ, თუმცა ეს ნაბიჯი წამგებიანი გამოდგა — ციმბირული რკინა უვარგისი აღმოჩნდა და მისი ქიმიური დამუშავება-გასუფთავება დამატებით ხარჯებს მოითხოვდა.

მიუხედავად ამისა, საზოგადოება აქტიურ ფინანსურ და ეკონომიკურ კავშირებს ინარჩუნებდა როგორც სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილებასთან, ისე კონსტანტინეპოლისა და ცარიცინის ქარხნებთან. ბაზარზე მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საწარმოში ღამის ცვლაც კი შემოიღეს. სამომავლო იმედებს მესვეურები ახალ ქარხანაში გლუვი მოთუთიებული რკინის მანქანურ წარმოებაზე ამყარებდნენ, რაც მნიშვნელოვან დანაზოგს მოიტანდა [აჭარის სს, ფონდი ი-21, საქ.**1].** კომპანიის საწყისი ეტაპის ფინანსური გეგმები, ახალი ქარხნის მშენებლობისა და აღჭურვილობის შესყიდვის ხარჯთაღრიცხვა, ისევე როგორც 1912-1913 წლების მოგება-ზარალის უწყისები და ქონებრივი ბალანსი, დეტალურადაა ასახული საარქივო დოკუმენტებში [აჭარის სს, ფონდი ი-21, საქ. 2; საქ. 3].

საფინანსო კავშირები და სარევიზიო კონტროლი. 1910-იანი წლების შუა პერიოდისათვის საზოგადოების საქმიანობა უფრო სტრუქტურირებული ხდება. კომპანიის კანტორა ბათუმში, ყარსის ქუჩის №9-ში მდებარეობდა. საინტერესოა სარევიზიო კომისიის შემადგენლობა, რომლის სხდომის ოქმებსაც ბათუმის ცნობილი ნოტარიუსი კ. პრუსკი ამოწმებდა. კომისიაში შედიოდნენ მ.ლ. პომერანცი, კ.ა. კაპიტანიდი, ლ.ა. კასტანაკი, მ. ლებედევი და კ. რეკი [აჭარის სს, ფონდი ი-21, საქ.5].

კომპანიის მასშტაბებსა და გავლენაზე მეტყველებს მისი კრედიტორებისა და დებიტორების ვრცელი სია. სააქციო საზოგადოებას ფინანსური ვალდებულებები მართებდა 39 კრედიტორის წინაშე, რომელთა შორის ფიგურირებდნენ:

- „ძმები ნობელების საზოგადოება“ (აღსანიშნავია, რომ ნობელების კაპიტალი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბათუმის ტარისა და მეტალურგიულ საწარმოებთან, რაც უზრუნველყოფდა ნავთობპროდუქტების ექსპორტისთვის საჭირო მასალების დამზადებას **[Tolf, 1976: 182];**
- ძმები რუხაძეები;
- თავადი ნაკაშიძე;
- ბათუმის საქალაქო მმართველობა და სხვები.

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

კომპანიის დებიტორთა (მოვალეთა) ნუსხა კიდევ უფრო შთამბეჭდავია. მასში ერთიანდებიან როგორც კერძო პირები (მათ შორის ქართველი ინტელიგენციისა და საზოგადოების წარმომადგენლები: ს. ჯანელიძე, მ. ქემოკლიძე, შ. ჭყონია, ა. გამსახურდია და სხვ.), ისე მსხვილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურები: ამიერკავკასიის რკინიგზა, თბილისის საქალაქო მმართველობა, თბილისის რეალური სასწავლებელი, ორთაბათუმის სასწავლებელი, ტუბერკულოზით ავადმყოფთა სანატორიუმი და ბათუმის პორტის სამმართველო [აჭარის სს, ფონდი ი-21, საქ. 5].

კაპიტალის გაზრდისა და წარმოების შემდგომი გაფართოების მიზნით, აქციონერები საგანგებო კრებებს მართავდნენ. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან შეკრებაზე, რომელსაც 15 აქციონერი ესწრებოდა (მათ შორის ქართველები: ნ.ნ. მეისრო-პოშვილი და გ.კ. ბუჩუკური), სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს რ.მ. იურკევიჩი [აჭარის სს, ფონდი ი-21, საქ. 7].

შიდაორგანიზაციული წესები და ქონებრივი მდგომარეობა. 1914 წლის აღწერის მიხედვით, საზოგადოება ფლობდა მსხვილ უძრავ ქონებას: 280 კვ. საჟენი და 1425 კვ. საჟენი მიწის ნაკვეთებს მასზე განთავსებული ნაგებობებით, სადაც შედიოდა კანტორა, საწყობი, საცხოვრებელი სახლი, მოსასვენებელი ოთახები, ხისა და რკინის ფარდულები, ნავთის საწყობი და ცხენების სადგომი [აჭარის სს, ფონდი ი-21, საქ. 8].

საწარმოო დისციპლინისა და შიდა კონტროლის გამკაცრებაზე მიუთითებს 1915 წლის 9 მარტის მეექვსე სარევიზიო კომისიის ოქმი, რომელმაც მკაცრი პრიორიტეტები დააწესა:

- ქარხნის კუთვნილი ცხენებისგან მიღებული შემოსავალი სპეციალურ წიგნში უნდა აღრიცხულიყო.

- სალაროს წიგნში მკაცრად უნდა მიეთითებინა შეძენილი საქონლის რაოდენობა და ფასი.

- შემოღებულ იქნა თუთიის აღრიცხვის სპეციალური წიგნი.

- აიკრძალა ცალკეული წევრების მიერ საზოგადოების მუშების შრომის გამოყენება პირადი საჭიროებებისათვის [ასს, ფონდი ი-21, საქ. 10].

სოციალური სტრუქტურა და რებრენდინგი (1917-1918 წწ.). პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციური პერიოდის ქარტეხილებს სააქციო საზოგადოება ტრანსფორმაციით შეხვდა. მკვლევარი თ. ჩხაიძე აღნიშნავს, რომ 1914–1917 წლებში ბათუმის ოლქის საწარმოები მწვავე სოციალურ-ეკონომიკური წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ, რამაც აიძულა მფლობელები, შიდაკორპორაციული მექანიზმებით შეენარჩუნებინათ მუშახელი [ჩხაიძე, 2015: 88]. 1917 წლის სახელფასო უწყისები აჩვენებს, რომ კანტორაში 13 ძირითადი თანამშრომელი ირიცხებოდა, რომელთა შორის იყვნენ ექიმი გ. ელიავა, მემანქანე გ. ბუჩუკური და დარაჯი ს. დიასამიძე. აღსანიშნავია, რომ კომპანიაში მოქმედებდა სოციალური მხარდაჭერის მექანიზმი — „დახმარების ყულაბა“, საიდანაც კონკრეტულ პირებზე გარკვეული თანხები გაიცემოდა [აჭარის სს, ფონდი ი-21, საქ. 17].

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

1918 წლისათვის კომპანიამ რებრენდინგი განიცადა — საანგარიშო მოხსენებებიდან ირკვევა, რომ სააქციო საზოგადოება „შელენგოვსკი და კ“-ს სახელი შეეცვალა და ეწოდა „პლასტინა“ [აჭარის სს, ფონდი ი-21, საქ. 19; საქ. 20].

საბჭოთა პერიოდი: ნაციონალიზაცია. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, საწარმომ, როგორც კერძო დაწესებულებამ შეწყვიტა არსებობა. საარქივო ფონდის ბოლო დოკუმენტები უკვე საბჭოთა ეპოქას მიეკუთვნება, სადაც ქარხანა მოხსენიებულია, როგორც „პირველი საბჭოთა ქარხანა“. კერძო კაპიტალის ლიკვიდაციისა და ქარხნების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის ეს ტენდენცია სრულიად თავსდება 1921–1924 წლების საერთო ეკონომიკურ პოლიტიკაში [სურგულაძე, 1984: 67**].**

ამ პერიოდისათვის დასაქმებულთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა და 59 პირს მიაღწია. საარქივო ცხრილებში დეტალურადაა აღრიცხული მუშახელის მონაცემები: სამუშაოს დაწყების დრო, თანამდებობა, სატარიფო თანრიგი, კმაყოფაზე მყოფი პირების რაოდენობა, ეროვნება და მისამართები. დოკუმენტი ინახავს საწარმოში დასაქმებული ქართველი მუშებისა და მოხელეების მონაცემებს, რომელთაგან აღსანიშნავია: ვლადიმერ ჭელიძე (მცხოვრები ყარსის ქ. №9)**,** ივანე ნუცუბიძე (ტურგენევის ქ. №29)**,** დავით კორტავა (კომაროვის ქუჩა)**,** ლავრენტი გოგუაშვილი**,** ვლადიმერ ევსტაფის ძე ბენიძე (სკობელევის ქ. №6) [აჭარის სს, ფონდი ი-21, საქ. 23].

დასკვნა. ბათუმის სააქციო საზოგადოება „შელენგოვსკი და კ“-ს საარქივო ფონდის მიმოხილვა ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ვითარდებოდა მსხვილი ინდუსტრიული საწარმო ბათუმში მე-20 საუკუნის დასაწყისში. კაპიტალისტური ეკონომიკიდან და საერთაშორისო სავაჭრო კავშირებიდან საბჭოთა გეგმიურ, ნაციონალიზებულ წარმოებაზე გადასვლა ასახავს იმ გლობალურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცვლილებებს, რაც რეგიონმა ამ ათწლეულში გამოიარა. ბათუმის სააქციო საზოგადოება „შელენგოვსკი და კ“-ს (ფონდი ი-21) საარქივო მასალების შესწავლა რამდენიმე მნიშვნელოვან დასკვნამდე მიგვიყვანს:

- საწარმოო ადაპტაცია და კრიზისების მართვა: კომპანიამ საწყის ეტაპზევე (1912 წ.) განიცადა სერიოზული მენეჯერული და ნედლეულის (შავი რკინის დეფიციტი) კრიზისი, რაც ძვირადღირებული ციმბირული რკინის შესყიდვითა და ღამის ცვლების შემოღებით დააბალანსა. ეს მიუთითებს ბათუმის მაშინდელი ბიზნეს-ელიტის მცდელობაზე, სწრაფად მორგებოდა ბაზრის კონიუნქტურას.

- ფართო ეკონომიკური კავშირები: დებიტორ-კრედიტორთა ნუსხა აჩვენებს, რომ კომპანია ინტეგრირებული იყო როგორც მსხვილ კაპიტალთან (მაგ. „ძმები ნობელების საზოგადოება“), ისე სახელმწიფო, საგანმანათლებლო და მუნიციპალურ სტრუქტურებთან თბილისსა და ბათუმში.

- სოციალური პასუხისმგებლობა: მიუხედავად 1917 წლის რევოლუციური ქაოსისა, საწარმოში მოქმედებდა „დახმარების ყულაბა“, რაც მიუთითებს ადრეულ კორპორაციულ-სოციალურ ელემენტებზე.

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

- სისტემური გარდატეხა: 1922 წლის დოკუმენტები, სადაც საწარმო უკვე „პირველ საბჭოთა ქარხნად“ იხსენიება, თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორ გაანადგურა საბჭოთა რეჟიმმა კერძო სააქციო კაპიტალი და როგორ მოახდინა ინდუსტრიული ერთეულების ტოტალური ნაციონალიზაცია.

ნაშრომი ადასტურებს, რომ აღნიშნული ფონდი, რომელიც ამჟამად მცირე რესტავრაციას საჭიროებს, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მიკრო-ისტორიულ წყაროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ინდუსტრიული მოდერნიზაციის შესასწავლად.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ლიტერატურა:

ბარათაშვილი 2012: ბარათაშვილი ა. (2012). *ბათუმის ეკონომიკური ისტორია (XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი).* შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,ბათუმი;

სურგულაძე 1984: სურგულაძე, ა. სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაცია საქართველოში (1921–1924 წლებში), თბილისი;

ჩხაიძე 2008: ჩხაიძე თ. ბათუმის ოლქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (1914–1921 წწ.), ბათუმი;

ხალვაში 2008: ხალვაში, ზ. სამრეწველო კაპიტალის განვითარება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878–1921 წწ.). თბილისი;

Tolf, R. W. (1976): The Russian Rockefellers: The Saga of the Nobel Family and the Russian Oil Industry. Stanford: Hoover Institution Press.

საარქივო წყაროები:

აჭარის საარქივო სამმართველო, ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონდი ი-21 (ბათუმის სააქციო საზოგადოება „შელენგოვსკი და კ“), საქმეები: 1, 2, 3, 5, 7, 8, 10, 17, 19, 20, 23 (1912–1922 წწ.).

References:

Literatura:

Baratashvili 2012: Baratashvili A. (2012). Economic History of Batumi (end of the 19th century and beginning of the 20th century). Shota Rustaveli State University, Batumi;

Chkhaidze 2008: Chkhaidze T. From the History of Socio-Economic Development of Batumi Region (1914–1921), Batumi;

Khalvashi 2008: Khalvashi, Z. Development of Industrial Capital in South-Western Georgia (1878–1921). Tbilisi;

Surguladze 1984: Surguladze, A. Nationalization of Industrial Enterprises in Georgia (1921–1924), Tbilisi;

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

Tolf, R. W. (1976): The Russian Rockefellers: The Saga of the Nobel Family and the Russian Oil Industry. Stanford: Hoover Institution Press.

Archival sources:

Centrals State Archives of Archives Administration of Ajara, Fund I-21, case 1;
csaaaa, Fund I-21, case 2, 3,5,7,8,10, 17, 19, 20, 23.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026